სსტ ისო/იეკ 17020 : 2012/2013

# საქართველოს სტანდარტი

## შესაბამისობის შეფასება – მოთხოვნები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის
ეროვნული სააგენტო
თბილისი

## საინფორმაციო მონაცემები

1 **შემოტანილია** სსიპ -საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ-აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის მიერ სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის “მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება’’ ტკ 2-ის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სტანდარტს ჩაუტარდა ენობრივი ექსპერტიზა საქართველოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

2 **რეგისტრირებულია და შემოღებულია სამოქმედოდ** სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 31 ოქტომბრის № 77 განკარგულებით.

3 წინამდებარე სტანდარტი იდენტურია საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17020: 2012 ”შესაბამისობის შეფასება – მოთხოვნები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის’’.

4 **ნაცვლად** საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17020:1998 „საერთო კრიტერიუმები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის’’.

5 **რეგისტრირებულია** სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში: 2013 წელი 31 ოქტომბერი №268-1.3-5576

წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი კვლავწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

# შინაარსი


1 გამოყენების სფერო 1
2 ნორმატიული მითითებები 1
3 ტერმინები და განმარტებები 1
4 საერთო მოთხოვნები 4
4.1 მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა 4
4.2 კონფიდენციალურობა 5
5 სტრუქტურული მოთხოვნები 6
5.1 ადმინისტრაციული მოთხოვნები 6
5.2 ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი 6
6 რესურსების მიმართ მოთხოვნები 7
6.1 პერსონალი 7
6.2 საშუალებები და მოწყობილობა 9
6.3 ქვეკონტრაქტი 10
7 ტექნიკური მოთხოვნები 11
7.1 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები 11
7.2 ინსპექტირების ობიექტებისა და ნიმუშებისადმი მოპყრობა 13
7.3 ჩანაწერები ინსპექტირების შესახებ 13
7.4 ინსპექტირების ანგარიშები და ინსპექტირების სერტიფიკატები 13
7.5 საჩივრები და აპელაციები 14
7.6 საჩივრებისა და აპელაციების პროცესი 14
8 მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნები 15
8.1 ვარიანტები 15
8.2 მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაცია (ვარიანტი A) 16
8.3 დოკუმენტების მართვა (ვარიანტი A) 16
8.4 ჩანაწერების მართვა (ვარიანტი A) 17
8.5 მენეჯმენტის ანალიზი (ვარიანტი A) 17
8.6 შიგა აუდიტი (ვარიანტი A) 18
8.7 მაკორექტირებელი ღონისძიებები (ვარიანტი A) 18
8.8 პრევენციული ღონისძიებები (ვარიანტი A) 19

დანართი A (ნორმატიული) დამოუკიდებლობის მოთხოვნები ინსპექტირების ორგანოებისათვის 20

დანართი B (ინფორმაციული) ინსპექტირების ანგარიშებისა და სერტიფიკატების დამატებითი ელემენტები 23

ბიბლიოგრაფია 24


საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

## წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) ერთობლივად ქმნის მსოფლიო მასშტაბის სტანდარტიზაციის სპეციალიზებულ სისტემას. ტექნიკური საქმიანობის კონკრეტული სფეროების შესწავლა-წარმართვისათვის ისო-ს და იეკ-ის წევრი ეროვნული ორგანოები, შესაბამისი ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული ტექნიკური კომიტეტების მეშვეობით, მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო სტანდარტების დადგენაში. ისო-ს და იეკ-ის ტექნიკური კომიტეტები ურთიერთთანამშრომლობენ საერთო ინტერესის სფეროებში. მუშაობაში, ასევე, მონაწილეობენ ისო-სა და იეკ-თან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ისო-ს შესაბამისობის შეფასების კომიტეტი (კასკო) პასუხისმგებელია შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებაზე.

საერთაშორისო სტანდარტები მომზადდა ისო/იეკ-ის დირექტივების მე-2 ნაწილში მოცემული წესების შესაბამისად.

ხმის მიცემის მიზნით საერთაშორისო სტანდარტების პროექტები ვრცელდება ეროვნულ ორგანოებს შორის. სავალდებულოა, რომ ხმის მიცემის პროცესში ეროვნული ორგანოების მინიმუმ 75 %-მა მხარი დაუჭიროს კონკრეტულ სტანდარტს, რათა ის საერთაშორისო სტანდარტის სახით გამოქვეყნდეს.

შესაძლებელია, რომ წინამდებარე დოკუმენტის გარკვეული ელემენტები საპატენტო უფლებების განხილვის საგანი გახდეს. ისო-მ არ უნდა აგოს პასუხი ნებისმიერი ან ყველა ამ საპატენტო უფლებების იდენტიფიცირებაზე.

ისო/იეკ 17020 მომზადდა ისო-ს შესაბამისობის შეფასების კომიტეტის (კასკო) მიერ.

დოკუმენტი გავრცელდა ისო-სა და იეკ-ის ეროვნულ ორგანოებს შორის ხმის მისაცემად და დამტკიცდა ორივე ორგანიზაციის მიერ.

წინამდებარე მეორე გამოცემა აუქმებს და ჩაანაცვლებს პირველ გამოცემას, (ისო/იეკ 17020:1998), რომლის ტექნიკური გადახედვაც განხორციელდა.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

**შესავალი**

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტი შემუშავებულია ინსპექტირების ორგანოების მიმართ ნდობის განამტკიცების მიზნით.

ინსპექტირების ორგანოები მათი სათავო ორგანიზაციების ან ხელისუფლების სახელით, აფასებენ კერძო დამკვეთებს, რათა წარმოადგინონ ობიექტური ინფორმაცია შემოწმებული ობიექტების შესაბამისობისა რეგულაციებთან, სტანდარტებთან, მახასიათებლებთან, ინსპექტირების სქემებსა და კონტრაქტებთან. ინსპექტირების პარამეტრები მოიცავს რაოდენობის, ხარისხის, უსაფრთხოებისა და ვარგისიანობის, ასევე, მომუშავე დანადგარების ან უსაფრთხოების ნორმებთან სისტემის მუდმივი შესაბამისობის საკითხებს. წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტში ჰარმონიზებულია ის საერთო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს აღნიშნული ორგანოები, რათა მომსახურება მისაღები იყოს დამკვეთებისა და ხელისუფლების სამეთვალყურეო ორგანოებისათვის.

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტი ვრცელდება ინსპექტირების ორგანოების ფუნქციებზე, რომელთა საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს მასალების, პროდუქციის, დანადგარების, აპარატების, პროცესების, სამუშაო პროცედურების ან მომსახურების შემოწმებას (ექსპერტიზა), მათი შესაბამისობის დადგენას მოთხოვნებთან და შემდგომ აღნიშნული საქმიანობის შედეგების მიწოდებას დამკვეთებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი, ხელისუფლების სამეთვალყურეო ორგანოებისათვის. ინსპექტირება შესაძლოა ეხებოდეს ამ ობიექტების სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ სტადიას, პროექტირების სტადიის ჩათვლით. ჩვეულებრივ, ასეთი საქმიანობა მოითხოვს პროფესიულ მსჯელობას ინსპექტირების ჩატარებისას, განსაკუთრებით კი, ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისას.

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აკრედიტაციის დროს, ასევე საექსპერტო ან სხვა სახის შეფასებისას.

შესაძლოა წინამდებარე მოთხოვნების ინტერპრეტირება, როდესაც ისინი კონკრეტული სფეროს მიმართ გამოიყენება.

ინსპექტირების საქმიანობა შესაძლოა ნაწილობრივ დაემთხვეს ტესტირებისა და სერტიფიცირების საქმიანობას, როდესაც ამ ქმედებებს საერთო მახასიათებლები აქვთ. თუმცა, მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინსპექტირების მრავალი სახეობა მოიცავს პროფესიულ მსჯელობას, რათა დადგინდეს მათი შესაბამისობა საერთო მოთხოვნებთან, ამიტომ ინსპექტირების ორგანოს ესაჭიროება სათანადო უფლებამოსილება დავალების შესასრულებლად.

ინსპექტირება შესაძლოა უფრო ფართომასშტაბიანი პროცესის ნაწილი იყოს. მაგალითად, ინსპექტირება შესაძლებელია გამოიყენებოდეს, როგორც სამეთვალყურეო საქმიანობა პროდუქტის სერტიფიცირების სქემაში. ინსპექტირება შესაძლოა იყოს საქმიანობა, რომელიც წინ უსწრებს ტექნიკურ მომსახურებას ან, უბრალოდ,

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

უზრუნველყოფს ინფორმაციას შემოწმებული ობიექტის შესახებ, მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გარეშე. მსგავს შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ინტერპრეტაცია.

ინსპექტირების ორგანოების A, B და C კატეგორიებად დაყოფა არსებითად მათი დამოუკიდებლობის საზომია. ინსპექტირების ორგანოს მიერ გამოვლენილი თვალსაჩინო დამოუკიდებლობა ინსპექტირების ორგანოს მიმართ მომხმარებლის რწმენას ამყარებს, რომ ორგანოს აქვს უნარი მიუკერძოებლად შეასრულოს აღნიშნული სამუშაო.

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტში გამოყენებულია შემდეგი ზმნური ფორმები:

- “უნდა” აღნიშნავს ვალდებულებას, აუცილებელ პირობას;
- “სასურველია” აღნიშნავს რეკომენდაციას;
- “შესაძლოა” აღნიშნავს ნებართვას;
- “შესაძლებელია” აღნიშნავს შესაძლებლობას ან უნარიანობას.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.